ჩვენ ისტორიის საერთო ნაწილი გვაქვს, თქვა უკრაინის პრეზიდენტმა, მაგრამ ისტორიის ნაწილი კი არ გვაქვს საერთო, არამედ ერთი საერთო ისტორია გავაჩნია. რუსები და უკრაინელები მართლაც ერთი ხალხი ვართ. ერთი საზოგადოება. აზრი არ აქვს ამ საკითხის განხილვის გარკვეულხანს. აქ ჩვენთვის ყველაფერი ნათელია. დაველოდოთ, როცა პრეზიდენტი პუტინი დაასრულებს თავის სტატიას უკრაინის შესახებ. იგი წერს, აშშ-ს და, როგორც კი დაასრულებს მუშაობას, სტატია გამოქვეყნდება. ვფიქრობ, ყველა შეფასება ამომწურავად იქნება განმარტებული.

— **ვლადიმერ პუტინი კიდევ ერთ, ფრიად მნიშვნელოვან თემას შეეხო გუშინ. უკრაინაში მყოფი რუსების პრობლემას: ისინი დღეს განიცდიან აშკარა ენობრივ დისკრიმინაციას და დისკრიმინაციის სხვა ფორმებსაც.**

მოსუბინეთ: „მე არ მიმაჩნია, რომ უკრაინელი ხალხი მეგობრულად განწყობილი ხალხი არ არის. მსგავსი არაფერია! ჩვენ ერთი მთლიანი ერი ვართ. აი, უკრაინის დღევანდელი ხელმძღვანელობა კი ჩვენდამი ამკარად არამეგობრულია. ეს საგვებით ნათელია. სხვანაირად გაძნელებოდა იმის გაგება, თუ რატომ შეიტანა პრეზიდენტმა რაღაც კანონპროექტი, მკვიდრი ხალხების შესახებ, რომლითაც რუსი ხალხი მკვიდრ ხალხად არ არის მიჩნეული ამ ტერიტორიაზე. ეს სრულიად გაუგებარია. საუკუნეებია, აქ ცხოვრობენ რუსები. ახლა კი უცხადებენ, რომ მკვიდრნი არ არიან. სადამდე მივდივართ? იქამდეც კი, რომ რუსი ადამიანი შეიძლება აიყაროს და გადასახლდეს, მაგრამ სად? რა უნდა უყოს ბინას? სამუშაო ადგილს და ა.შ.? მაშინ იძულებული იქნებიან, მეორეხარისხოვან ადამიანებად მიიჩნიონ თავი. ეს გამოიწვევს რუსების საერთო რაინფენობის შემცირებას და თავისი ნეგატიური შედეგებით შეიძლება შევადაროთ მათობრივი განადგურების რომელიმე იარაღს გამოყენებით გამოწვეულ შედეგებს. ეს სერიოზული საქმეა.“

„მასობრივი იარაღის გამოყენებასთან“ შედარება ადეკვატურ პასუხს მოითხოვს.

— უკრაინის დიდი ტრაგედია ის, რომ ამ ქვეყანაში ყალიბდება ახალგაზრდა თაობა, რომელსაც ზრდის რუსეთის მიმართ სიძულვილის სულისკვეთებით. ტრაგედია ის, რომ უკრაინაში ძალიან ბევრი რუსია იმისთვის, რომ შეგძულდეს. შედეგად ეს იქნება დამანგრეველი სიძულვილი თვით ამ ქვეყნისთვის, რაც დიდი შეცდომაა. პუტინმა გასაგებად თქვა, რომ უკრაინელი ხალხი არ არის არამეგობრული, იგი ჩვენი მოძმე და მეგობარი ხალხია, მაგრამ, ასეთი ხელმძღვანელები რომ ჰყავს, ეს უკრაინის კიდევ ერთი მარცხია. იმედი ვიქონიოთ, რომ უკრაინა დაძლევს ამ თავდასხმას და რამენაირად იპოვის თავის ნათელ მომავალს.

ინტერვიუს სააგაზეთო ვერსია იბეჭდება მკერული შემოკლებით.

მომავლად არამაზ სანაწიმი

„აღნიშნული მცირე ჯგუფის მიერ საკუთარი არჩევანის სხვაზე თავსმოხვევა ძალადობაა და ეთნიკური წარმომავლობისა და რელიგიური თუ სხვა კუთვნილების მიუხედავად ლახავს სხვის, ჩვენი საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის, უფლებას, თავისუფლებასა და არჩევანს“.

რუმინიკას უკლებლად დარჩენას ანდრიაკა

ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი და ანტიმართლმადიდებლური კვირეული მშვიდად რომ არ ჩაივლიდა, ყველამ წინასწარვე კარგად უნყოფდა; მით უმეტეს 5 ივლისს თბილისში „ღირსების მარშის“ გამართვას კარგი არაფერი რომ არ მოჰყვებოდა, ამიტომ პრემიერმინისტრმა საგანგებო განცხადება გააკეთა — „ღირსების მარშის“ რუსთაველზე ჩატარება მიზანშეუწონლად მიმჩნიაო.

სახელწოდებაც რომ ირონიულად უღერს — „ღირსების მარში“. რომელ ღირსებაზე საუბრობენ ეს უბედურები?! და საერთოდ, იციან საერთოდ, რა არის ღირსება?

დალოცვილი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (ერთტომეული, 1986წ.) მაინც გადამაღეთ 461-გვერდზე: **ღირსება 1. დადებითი თვისება. კაცური ღირსება; 2. მაღალი მორალური, ადამიანური ღირებულება, პატივდებული საზოგადოებრივ-მორალური მდგომარეობა... 3. ავტორგაიანობა, ხარისხი...** შესაბამისად, **ღირსაშული** ნიშნავს **ღირსების მძიმეს, მართებულს...**

არსებობს ასეთი გამოთქმაც — **თავი ღირსაშულად უჭირავს, ანუ თავი ისე უჭირავს, პატივისცემას იმსახურებს.**

ფაქტია, ლგბტქ+ „პრაიდს“ და არც „ღირსების მარშს“ ღირსებასთან რეალურად კავშირი არ აქვს. რადგან ამ ადამიანებს ღირსულად არ უჭირავთ თავი, ამიტომ არც პატივისცემას იმსახურებენ. **მიუხედავად იმისა, რომ მათ არავინ ერჩის, ისინიც სხვებივით ცხოვრობენ ამ ქვეყანაში და მათი სექსობრივი ორიენტაციის გამო არავინ ავიწროვებს, თავად ეძებენ მიზეზებს პრობლემების შესაქმნელად და თავხედურად აცხადებენ: „ჩვენ, ქვიარ ადამიანებს, გვჭირდება, ხმამაღლა ვისაუბროთ ჩვენს პრობლემებზე; გვჭირდება, რომ ჩვენი ოჯახის წევრებს, მეგობრებს, კოლეგებს, თანამოქალაქეებს და სახელმწიფოს გავაგონოთ ჩვენი ხმა“.**

კონკრეტულად რას მოითხოვენ? * სახელმწიფომ ანარმოს ადამიანზე ორიენტირებული პოლიტიკაო. რას ნიშნავს ეს წინადადება?! განა ყველა ადამიანის სურვილი არ არის, რომ სახელმწიფო უპირველესი მიზანი საკუთარ ხალხზე ზრუნვა იყოს, მიუხედავად სქესისა, რწმენისა და ა.შ.?! * შესარულოს პოზიტიური ვალდებულება თანასწორი გარემოს შესაქმნელად, ჰომოფობიის, სტიგიმისა და დისკრიმინაციის დასაძლევად; ეს არის ქარიშხალი ჭიქაში. მსგავსი გადახრების ადამიანები ყოველთვის არსებობდნენ, მაგრამ... ზემოთ ღირსულად თავის დაჭრა ვახსენეთ, ვინც ამას ახერხებდა, არც პრობლემები ექმნებოდა არასდროს.

* გამოიძიოს სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და დაიცვას სამართლიანობის პრინციპი; სისხლის სამართლის კანონმდებლობა შერჩევითობის გარეშე ვალდებულია, გამოიძიოს დანაშაული და დაიცვას სამართლიანობა. * დაიცვას თითოეული მოქალაქის უსაფრთხოება და გა-

მოხატვის თავისუფლება, მიუხედავად სექსუალური ორიენტაციისა და გენდერის იდენტობისა.

არა მგონია, ამ მხრივაც არსებობდეს პრობლემა, თუ ვინმე საზოგადოების ინტერესებს ფეხქვეშ არ გათელავს და უზნეობის ქადაგებას არ დაიწყებს, არავინ ერჩის.

* და ბოლოს: „პრაიდს“ ლგბტკულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ფორმით აღინიშნება. ნღების განმავლობაში, ლგბტ ადამიანების უფლებების ზრდასთან ერთად, ღონისძიებამ ბევრგან მიიღო ზემოთ ხახვი. თუმცა, არაერთ ქვეყანაში, ლგბტ ადამიანები კვლავ არიან იმ ფუნდამენტური უფლებების მოლოდინში, რომლებიც რიგ სახელმწიფოებში ნღების წინ განმტკიცდა კანონის ძალით, — აცხადებენ „პრაიდსტები“.

თუ რა იმალება „იმ ფუნდამენტური უფლებების“ უკან, არც ძნელი მისახვედრია და უკვე აღარც ეს გაურკვეველი ორიენტაციის ადამიანები მაღავენ.

სწორედ აქ მარხია ძალის თავი. ვინ დგას ამ უბედური ადამიანების უკან? ვინ აქეზებს მათ საზოგადოებასთან დასაპირისპირებლად?

ვინც უნდა იყვნენ, ყველამ, განსაკუთრებით უცხოელმა „კეთილისმსურველებმა“, კარგად დაიმახსოვრონ, რომ საქართველოში გარყვნილებების პროპაგანდის უფლებას ვერ არავის მისცემს — არც პეტროსეკსუალურს და არც ჰომოსექსუალურს!

2 ივლისს გავრცელდა საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროკავშირის წარმომადგენლობის, ავსტრიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბელგიის, გერმანიის, გაერთიანებული სამეფოს, ესპანეთის, ისრაელის, კანადის, ნიდერლანდების სამეფოს, ნორვეგიის, საბერძნეთის, საფრანგეთის, ფინეთის, შვედეთის, შვეიცარიის, ჩეხეთის რესპუბლიკის საელჩოებისა და საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელების ერთობლივი განცხადება.

მასში ნათქვამია, რომ, მხარს უჭერენ რა ყველა ადამიანის თანასწორობასა და მათი უფლებების დაცვას, სოლიდარობას უცხადებენ ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ, ტრანსგენდერ, ქვიარ და ინტერსექსუალ (ლგბტქ+) თემს; მოუწოდებენ საქართველოს ხელისუფლებას, დაიცვას მშვიდობიანი შეკრების უფლება საქართველოში ყველა ადამიანისთვის, გამონაკლისის გარეშე და უზრუნველყოს ამ ღონისძიებების ჩატარება უსაფრთხო გარემოში.

ესეც შენი ვეროა! თან შეგვახსენებენ, რომ 2014 წლიდან საქართველოს ნიშანდობლივი კანონი დისკ-

საქართველო იყო, არის და იქნება ღირებულებებისა და ფასეულობების ჭკაყანა! გაითვალისწინეთ!



რიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გამყარებულია კონსტიტუციური განცხადება, ვისაც შეიძლება მათი ციპით და კრძალავს დისკრიმინაციის ყველა ფორმას სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის და გამოხატვის საფუძველზე.

დაიცავით შეკრების ორგანიზატორები და მონაწილეები მათგან, ვისაც შეიძლება მათი უფლებების შელახვის მცდელობა ჰქონდეთ. მაგრამ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის ამტკიცებს, რომ **დაუშვებელია ერთი ადამიანის უფლების გამოყენება მეორე ადამიანის უფლების დარღვევისთვის.**

აი ეს არის ის, რაც ამჯერად ხდება საქართველოში — ილახება, არა მხოლოდ უმრავლესობის, მთელი საზოგადოების, ერის უფლებები, ფეხქვეშ ითელება იმ ადამიანების ინტერესები, რომლებიც თავს მიიჩნევენ სახელოვან

წინაპართა ტრადიციების ერთგულად და გამგრძელებლებად. საბედნიეროდ, ისინი ბევრნი არიან, იმაზე მეტნი, ვიდრე წარმოადგენდნენ ჩვენი ევროპული „მეგობრები“, რომელთა ინიციატივით და ჩაქუჩებით საქართველოში მცხოვრები სექსუალური უმცირესობის თითო-ორი ადამიანი წარმომადგენელი ამხელა პროპაგანდაზე ნავიდა. არავის აქვს უფლება, საქართველოს მთავრობას, პოლიტიკურ, სამოქალაქო და რელიგიურ ლიდერებს მოუწოდოს, მიიზიდონ გარყვნილება და ამას თავისუფლებისა და თანასწორობის უფლების დაცვა დაარქვას.

ბატონებო! თქვენ, ყველას თავისუფლებისა და თანასწორობის უფლების დამცველები კი არა, მხოლოდ ლგბტ თემის წამქეზებლები ხართ დანარჩენი ნორმალური ადამიანების წინააღმდეგ. ამას კარგად მიგიხვდათ საქართველოს ეკლესია და თავის სულიერ შვილებს თანადგომა გამოუცხადა.

ვერავინ უარყოფს, რომ მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის ლმობიერია ცოდვილთა მიმართ, მაგრამ არა ცოდვისადმი, ამიტომ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ 5 ივლისს გავრცელებული განცხადებაში „თბილისი პრაიდის“ ორგანიზატორები და უცხოელი დიპლომატები „ლგბტქ+ პროპაგანდისტული აქტივობების“ მხარდაჭერის გამო გააკრიტიკა და 5 ივლისს „ღირსების მარშის“ პარალელურად კონტრაქცია დაგეგმა.

აღნიშნა რა, რომ „გაუფლებლად მართებული ცხოვრების წესის პროპაგანდა“ საზოგადოებაში „დაძაბულობას“ და „არეულობას“ იწვევს, საპატრიარქო მხარდაჭერები „მშვიდობიანი“ პროტესტის გამოსახატად იხმო და მოუწოდებს მათ „არ ავყვეთ ძალადობრივი კონფრონტაციისათვის მიზანმიმართულ პროვოკაციას“.

საპატრიარქო „პრაიდის“ ორგანიზატორები და მხარდამჭერი ელჩები ქვეყნის მიმართ „ზნუნოლას“ და „საზოგადოების უდიდესი უმრავლესობის“ არჩევანის უგულვებლად დაადანაშაულა. ჩვენი მოქალაქეებისთვის შემოფოთებული და მიუღებელია გარკვეული საელჩოთა და ევროპარლამენტარების ნაწილის მკვეთრი ჩარევა ჩვენს საზოგადოებრივ და სულიერ ცხოვრებაში და ვთვლით, რომ ეს მათი უფლებამოსილების გადამეტებაა, — ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

ქართველი ერისთვის ცხადზე უცხადესია, რომ „პრაიდის“ ორგანიზატორების მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის საფარველ არატრადიციული ცხოვრების წესის პროპაგანდა შეიცავს პროვოცირების ნიშნებს, კონფლიქტში შედის საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ ნორმებთან და მიზნად ისახავს მძიმე ცოდვის ლეგალიზებას. არ არის ეს ჩვენი არჩევანი და არც იმნება!

აი ამასაც მოვესწარით: უცხო ქვეყნების ელჩების გადასაწყვეტი შექმნა, ჩვენს ქვეყანაში პედარასტების აღლუმი ჩატარება თუ საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის სურვილს გაენევა ანგარიში. ირაკელი ღარიბაშვილმა კი თქვა, — **რომორც ხალხს უნდა, ყველაფერი ისე იქნება, მაგრამ არ არის გამორიცხული „ურდოში“ დაიბარონ და ტყაპი გააძრონ ასეთი სითამამისთვის.**

ეკლესიასა და ქართველი საზოგადოების უდიდეს უმრავლესობას მიმართ, რომ მსგავსი აქტივობებით ლგბტქ+ ინტერესების დაცვა შეუძლებელია, პირიქით — ამ ჯგუფისადმი აგრესიის ხელშეწყობა გაჩენას გამოიწვევს, ამიტომ საპატრიარქო მიმართავს ევროპარლამენტარებს: „**ამ და სხვა გარემოებებითა გამოიწვევთ ევროპარლამენტის ლგბტქ+ საკითხებზე მომუშავე ჯგუფის 30 წევრ პარლამენტარს და საქართველოში აკრედიტირებულ საელჩოთა ხელმძღვანელებს და ვთხოვთ, თავი შეიკავონ „თბილისი პრაიდის“ მხარდაჭერისა და მათი ნახალისებისაგან. მივმართავთ ჩვენს ხელისუფლებას, ადეკვატურად შეაფასონ არსებული ვითარება, იმოქმედონ სახელმწიფო სტაბილურობისა და სამოქალაქო მშვიდობის ინტერესებიდან გამომდინარე და აარიდონ ქვეყანას დესტაბილიზაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებას — გარდაუვალი შფოთი“.** საქართველო იყო, არის და იქნება ღირებულებებისა და ფასეულობების ქვეყანა! გაითვალისწინეთ!

ვინ დგას ამ უბედური ადამიანების უკან? ვინ აქეზებს მათ საზოგადოებასთან დასაპირისპირებლად? ვინ უნდა იყვნენ, ყველამ, განსაკუთრებით უცხოელმა „კეთილისმსურველებმა“, კარგად დაიმახსოვრონ, რომ საქართველოში გარყვნილებების პროპაგანდის უფლებას ვერ არავის მისცემს — არც პეტროსეკსუალურს და არც ჰომოსექსუალურს!



მან საქართველოს საეკლესიო მუზეუმს სხვა ხელნაწერებთან ერთად გადასცა ბაბრატ IV-ის დროინდელი, 1089 წელს გადაწერილი სახარება, რომლის შესახებაც ქართულმა მეცნიერებამ მანამდე არაფერი იცოდა.

წმიდა მღვდელმონაწივე კირიონ მეორემ სარწმუნოებრივი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ძნელი და რთული გზა განვლო. უსაზღვროდ დიდია მისი დამსახურება ერისა და ეკლესიის წინაშე, რისთვისაც ის საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხდა.

მღვდელმონაწივე კირიონ II (ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილი) დაიბადა 1855 წელს გორის მაზრის სოფელ ნიქოზში, სასულიერო პირის ოჯახში.

როგორც სასულიერო ოჯახში აღზრდილი, კირიონ II უფლება მიეცა, უფასოდ სწავლა-განათლება მიეღო თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც 1876 წელს წარჩინებით დაამთავრა. ამის შემდეგ იგი სახელმწიფოს ხარჯზე სასწავლებლად გაიგზავნა კიევის სასულიერო აკადემიაში, სადაც საღვთისმეტყველო საგნებთან ერთად კირიონმა სათანადო ცოდნა მიიღო მსოფლიო ისტორიაში, გეოგრაფიაში, არქეოლოგიაში და სხვა. აქვე მოხდა მისი მსოფლმხედველობრივი ფორმირება.

კიევის სასულიერო აკადემია 1880 წელს დაამთავრა დიკონატის წარდგენით, რის გამოც მას ლეონტიძის სასწავლებლის კანდიდატის ხარისხი მიენიჭა. აკადემიის დამთავრების შემდეგ იგი ერთხანს ოდესის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანაშემწედ მუშაობდა. 1883 წელს კირიონი, იმდროინდელი საქართველოს ეგზარქოსის გადაწყვეტილებით, საქართველოში ბრუნდება და სხვადასხვა დროს პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა თელავის, გორისა და ქუთაისის სასწავლებლებში. ერთხანს იგი თბილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებელში ასწავლიდა ქართული სიტყვიერების ისტორიას, რუსულ ენას, და საღმრთო ისტორიას.

1896 წლიდან კირიონ II მისიონერულ მოღვაწეობას ეწევა. იგი დაინიშნა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებასთან“ არსებული სკოლების ინსპექტორად. მართალია, აღნიშნულ თანამდებობაზე მას დიდხანს არ მოუწია მუშაობა, მაგრამ მკირე დროის მანძილზე მისი ინიციატივით ქართლის მთიანეთში აღნიშნულ საზოგადოებაზე დაქვემდებარებული 19 სკოლა დააარსა.

1896 წელს კირიონ II დიდი უბედურება დაატყდა თავს. დაეღუპა ცოლ-შვილი, რის გამოც იგი ბერად აღიკვეცა. ბერად აღკვეცილი კირიონი ქვათახევის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. 1898 წელს კირიონ II ეპისკოპოსის ხარისხში აიყვანეს და დაადგინეს ალავერდის ქორეპისკოპოსად.

1883-1897 წლებში წმიდა კირიონი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა გორში, თელავში, ქუთაისში, თბილისში; 1886 წელს დაინიშნა საქართველოს მონასტრების პლაგონინად და კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლების ინსპექტორად; აარსებდა სამრევლო სკოლებს, წიგნსაცავებს და ბიბლიოთეკებს, ამავე დროს ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში ივერდის, საძაგლოვის, ლიახველის ფსევდონიმებით აქვეყნებდა წერილებს საქართველოს ეკლესიის ისტორიაზე, ხალხურ ზეპირსიტყვიერებაზე, ქართულ ლიტერატურაზე.

1897 წელს უფლის რჩეული მონაზვნად აღიკვეცა კირიონ-

ნის სახელით და ქვათახევის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. ამ პერიოდში ლეონტიძის სახურების პარალელურად კირიონი მეცნიერულ მოღვაწეობასაც აგრძელებს: კრებს ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს, სწავლობს ხალხის ზნე-ჩვეულებებს, მუშაობს ეკლესია-მონასტრების სიძველეებზე. თბილისის საეკლესიო მუზეუმსა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სიძველეთა საცავს იგი უხვად სწირავს ეკლესია-მონასტრების წესრიგს სენაკებში მიკვლეულ და საოჯახო კოლექციებიდან მოპოვებულ იმეოთ ხელნაწერებს. მან დალუპვას გადაარჩინა „ვეფხისტყაოსნისა“ და „ქართლის ცხოვრების“ რამდენიმე ხელნაწერი.

1898 წლის აგვისტოში არქიმანდრიტი კირიონი აკურთხეს ალავერდის ეპისკოპოსად. მან საკუთარი სახსრებით დაიწყო განადგურების პირას მიყვანილი ალავერდის ტაძრის შეკეთება, ხელი მიჰყო კახეთის ეკლესია-მონასტრებში დაცული სიძველეების შესწავლას. მან საქართველოს საეკლესიო მუზეუმს სხვა ხელნაწერებთან ერთად გადასცა ბაბრატ IV-ის დროინდელი, 1089 წელს გადაწერილი სახარება, რომლის შესახებაც ქართულმა მეცნიერებამ მანამდე არაფერი იცოდა. ამავე დროს კირიონმა ხმა აღიმართა სომხების მიერ ქართული ტაძრების მიტაცების გამო. მან გრძელად დასაბუთებული ბარათით მიმართა საქართველოს ეგზარქოსს და მოითხოვა ამ ტაძრების დაბრუნება საქართველოს ეკლესიისთვის.

1901 წლიდან კირიონი გორის ეპისკოპოსია. ამ დროისთვის საქართველოს საეგზარქოსო მინიშნა, რომ წმიდა მღვდელმთავრის ირგვლივ თავს იყრიდა განათლებული სამღვდელთა, რომლებიც ამკარად გამოხატავდა უმკაცრო ფილემას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების გამო. მთავრობა ეპისკოპოსს ხშირად უცვლიდა ეპარქიებს.

1903 წელს კირიონ II-ს სამართავად ორიოლის ეპარქია ჩააბარეს. ორი წლის შემდეგ რუსეთის უწმინდესი სინოდის განკარგულებით, იგი სამშობლოში დაბრუნეს და სოხუმის ეპარქიის მმართველად დაინიშნეს. კირიონ II-ის მიმართ რუსეთის სასულიერო ხელისუფალთა ასეთი ლოიალობა მათი ლიბერალური პოლიტიკით არ იყო ნაკარნახევი. 1905 წელს იმპერიის მასშტაბით დაწყებული რევოლუციური მოძრაობის დროს მონიშნავე ქართველთა საზოგადოებამ და სპეცდელთაგან რამდენიმე პეტიცია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნით გააკეთეს, რის გამოც კირიონი დააბრუნეს და სოხუმის ეპარქიის მმართველად დაინიშნეს. კირიონ II-ის მიმართ რუსეთის სასულიერო ხელისუფალთა უმალღესი ინტენციები. რუსეთის უმაღლესი ხელისუფალნი დროის გაყვანის მიზნით აკანონებდნენ ქართველთა კანონიერ მოთხოვნას. იმპერატორის გადაწყვეტილებით, აღნიშნული საკითხი რუსეთის მონაგავ საეკლესიო კრებაზე,

სარწმუნოებრივი და ეროვნული პრინციპებისათვის დაუსხროვლად ებრძოლი წმიდა პატრიარქი კირიონ II



ლეთისმსახურების პარალელურად კირიონი მეცნიერულ მოღვაწეობასაც აგრძელებს: კრებს ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს, სწავლობს ხალხის ზნე-ჩვეულებებს, მუშაობს ეკლესია-მონასტრების სიძველეებზე. თბილისის საეკლესიო მუზეუმსა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სიძველეთა საცავს იგი უხვად სწირავს ეკლესია-მონასტრების წესრიგს სენაკებში მიკვლეულ და საოჯახო კოლექციებიდან მოპოვებულ იმეოთ ხელნაწერებს. მან დალუპვას გადაარჩინა „ვეფხისტყაოსნისა“ და „ქართლის ცხოვრების“ რამდენიმე ხელნაწერი.

რომლის ჩატარების ვადა წინასწარ არ იყო მითითებული, უნდა გადაეწყვიტათ. ამკარა იყო, რომ რუსეთის ხელისუფალთა ელჩი იმ დროს, როცა რევოლუციური მოძრაობა დაცხრებოდა, შემდგომ კი გადავიდოდა შეტევაზე. რევოლუციური აღმავლობის პერიოდში რუსეთის სასულიერო ფილემას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების გამო. მთავრობა ეპისკოპოსს ხშირად უცვლიდა ეპარქიებს.

აქტიური მონაწილეობა მიიღო 1906 წელს ივნისში პეტერბურგში გამართულ უწმინდესი სინოდის სხდომებში, რომლებზეც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხი იხილებოდა. მან და მისმა თანამოაზრეებმა რუსეთის ოფიციალურ წრეებს, მართალია, ისტორიულად და ეკლესიურ კანონიკის მიხედვით დაუსაბუთეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერება, მაგრამ სინოდმა ქართველთა კანონიერი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ასეთი გადაწყვეტილების მიუხედავად, კირიონი დიდი მონდობით აგრძელებდა ბრძოლას. კირიონის დედა-შვიწროება უფრო უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

ემა მისი გათავისუფლების მოთხოვნით. წმიდა მღვდელმთავარი მასზე დაშვებულ ამ განსაცდელს ამგვარი განწყობით ხვდებოდა: „ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია, სიყვარული უნდა ავიტანოთ ტანჯვა, ვინაიდან ტანჯვა სიყვარულის ნაყოფია, ძალა ტანჯვაშია“. მთავრობამ 1915 წელს შეწყვიტა კირიონის დევნა. იგი დაინიშნა პოლოცისა და ვიტებსკის ეპისკოპოსად, მაგრამ სამშობლოში ჩამოსვლის ნება მანაც არ მისცეს. წმიდანი უდიდესი ქველმოქმედი იყო. მისი მატერიალური დახმარებით რუსეთისა და საზღვარგარეთის უმაღლესი სასწავლებლებში სამაღამდე ქართველმა ახალგაზრდამ მიიღო განათლება. ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იან წლებში, როცა ქართული ენა ოფიციალური ხელიწიფლებისაგან დევნილი იყო, კირიონმა გრიგოლ ყიფშიძესთან ერთად ქართული სიტყვიერების ისტორია შეადგინა. 1917 წელს აღდგა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია და საქართველოს ქართველი საზოგადოების დაჟინებული მოთხოვნით 1917 წლის ზაფხულში ეპისკოპოსი კირიონი სამშობლოსკენ გამოემგზავრა. არაგვის ხეობაში მას შეეგება ასოცამდე ცხენოსანი, რომელიც დიდი პატივით მიაცილეს დედაქალაქამდე. თბილისშიც ბრწყინვალე შეხვედრა მოუწყვეს წმიდანს. 1917 წლის სექტემბერში

სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებაზე, რომელიც თბილისში ჩატარდა, კათოლიკოს-პატრიარქად არჩეულ იქნა ეპისკოპოსი კირიონი, რომელიც საზეიმოდ ეკურთხა იმავე წლის 1 ოქტომბერს.

სექტიცხოველში აღსაყდრების დღეს წარმოთქმულ სიტყვაში უწმიდესმა და უნეტარესმა პატრიარქმა ბრძანა: „სამშობლო საყვარელი, ღვთისმშობლის ნილხვედრო, ბრძენდა შინა ტანჯვა-ვაებასა განწმენდილი! შენთვის ტანჯული, მენგან განშორებული, შენთვის მტირალი, მუდამ შენკენ ლტოვილი, დღეს განვისვენებ ტკილსა შინა ნიალსა შენსა არა ვითარცა შვილი უძლები, არამედ ვითარცა მესაიდუმლე და სინდისი ეკლესიისა შენისა... ვიცი, შენი გულისყური ამჟამად ჩემკენა მოქცეული და მეკითხები: რა მომითხანე, რა მალამოსა მცხებ იარება ჩემსა, რით მანუგებებ სევდა მოსილსა? ყური მომბაყარ: არა მოვცა, რათა გიმსახურო, არამედ მსახურებად შენდა და მიცემად სული სახსრად შენდა“ (მთ. 20,28). მოვედი არა ვითარცა მწე სასყიდით დადგინებული, არამედ ვითარცა მწე ერთგული და მარად მორჩილი“.

კირიონ II-მ წერილები დაუგზავნა მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიას მეთაურებს, რომელშიც მოკლედ და დასაბუთებულად გადმოსცა საქართველოს ეკლესიის ისტორია და მოითხოვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება.

საქართველოში სარწმუნოებრივი და ეროვნული პრინციპების დამკვიდრებისა და აღორძინებისათვის დაუცხრომლად მებრძოლი წმიდა პატრიარქის მოღვაწეობა ზღუდავდა ეკლესიის და ქვეყნის წინააღმდეგ შეკრებილი ბოროტი ძალების მოქმედებას, რომელთა გამოწვევით თანდათან უფრო და უფრო საშიშ და ცინიკურ სახეს იღებდა. ამ დროს მრავალი საეკლესიო და საერო მოღვაწე მოკლეს. ბოროტების უპირველესი სამიზნე იყვნენ ის წმიდა ადამიანები, რომელთა ავტორიტეტი ძალიან დიდი იყო ხალხში. საქართველოს წმიდა ეკლესიის სამოციქულო ტახტზე მჯდომი საქეთმპყობელის, წმიდა კირიონის სარწმუნოებრივი ეროვნული მოღვაწეობა მოსვენებას არ აძლევდა ეკლესიისა და ქვეყნის მტრებს. 1918 წლის 26 ივნისს წმიდა კირიონ კათალიკოსი მოკლული იპოვეს მარტყოფის მონასტრის საპატრიარქო რეზიდენციაში.

მონამეობრივად აღსრულებული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II წმიდა სინოდის 2002 წლის 17 ოქტომბრის სხდომაზე წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ 27 ახალი სტილით 10 ივლისი ივნისი დაწესდა.



გეგარკა გეგარკა...

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ბუნებრივი სილამაზითა და ისტორიებით სახელგანთქმული ადგილები ადამიანებს, საუკუნეებია, ხიბლავს, მაგრამ ცნობილი ფაქტებისა და დიდებულების გარდა, ისინი საიდუმლოებებსაც ინახავს.



ბაღის ხისფარი ღრული მათს ხივილიზაზის დაჯივის გასაღები

შტორმების შესახებ სამეცნიერო მონაცემების მოპოვება დაახლოებით 100 წლის წინათ დაიწყო. ბუნებას კი თავის გაცილებით დიდი ხნის მონაცემებს ინახავს ქვიშასა და ქვებში. ზოგიერთი საიდუმლო ბელიზის ცნობილი ცისფერი ღრმის ფსკერზეც ინახება. მის და მის მსგავს წყლის კრისტალურ ძაბრებში ფენებად არის დალექილი ქანები. და, როცა ბობოქრობს შტორმი, ეს დალექილი ქანები სხვა უბნებზეც იფანტება ხოლმე. მეცნიერებმა ცისფერი ღრმის გულიდან ამოიღეს 8,5 მ სიგრძის ნაწილი, რომელიც გეოლოგიური ისტორიის 2000-წლიან მონაცემებს ინახავს. ის აჩვენებს, რომ შტორმების აქტიურობა ჩვენს ერამდე დაახლოებით 900 წლის წინათ დაიწყო, დაახლოებით იმ პერიოდში, როცა მაიას ცივილიზაცია დაიღუპა. 5 ფენა, რომლებმაც მეცნიერების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო, ჩამოყალიბდა ჩვენს ერამდე 700-1150 წლებში. ისინი 15-30 სმ-ს სისქისაა და საშინელ მოვლენებზე მიუთითებენ იმის გათვალისწინებით, რომ მე-5 კატეგორიის ქარიშხალმა „ჰეთიმ“ მხოლოდ 3,31 სმ სისქის ფენა შექმნა. მეცნიერთა ვარაუდით, შესაძლოა, ამ მოვლენებმა ბოლო ღურსმანი ჩაარჭო მაიას ცივილიზაციის კუბოში.



ალკამბრა სავსა საიდუმლო გზავნილებით

ალკამბრა გრანადაში ტიპური ესპანური არქიტექტურულ-ისტორიული ძეგლია. სასახლე აშენდა რომაული დასახლების ნანგრევების ადგილას 889 წელს. ააგეს მავრმა დამპყრობლებმა. შემდეგ კი, 1491 წელს, ესპანეთმა დაიბრუნა. ალკამბრას ბევრი კოლონა, გეომეტრიული ორნამენტი და შადრევანი ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშია. შენობაში სხვადასხვა ადგილას არის 10 ათასი წარწერა არაბულ ენაზე, მათი 10 პროცენტი ციტატებია ყურანიდან, დანარჩენი — დევიზები, ლექსები და რჩევები, ისეთი, როგორც არის, მაგალითად, „მოზოზე სიტყვა და იცხოვრებ თანხმობით“. ყველაზე გავრცელებულია ნასრიდების დინასტიის ქებადიდება. ნასრიდები უკანასკნელი დინასტიაა, რომელიც იბერიელებს მართავდა 260 წლის განმავლობაში. მათი დევიზი „არ არსებობს გამარჯვებული, ალაჰის გარდა“ ყველაზე გავრცელებული წარწერაა სასახლეში. მას შემდეგ, რაც ქრისტიანებმა დაიბრუნეს გრანადა, კასტილიის მეფე ფერდინანდ II-მ და მისმა მეუღლე იზაბელამ დააფასეს ალკამბრას სილამაზე და გადაწყვიტეს, შეენარჩუნებინათ არაბული წარწერები.



ფრესკა ზომით 0,9X1,4 მ-ზე ოდესღაც ამოვენებდა ტავერნის ან საროსკიპოს სარდაფის კედელს. ამ ტავერნასა თუ საროსკიპოში გლადიატორები იკრიბებოდნენ ლუდის დასალევად და დროის გასატარებლად. სარდაფს ზევით განლაგებულ ოთახებში დაბალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ქალები მსოფლიოში უძველესი ხელოვნებით იყვნენ დაკავებული და გლადიატორებს საბრძოლო ფორმის შენარჩუნებაში ეხმარებოდნენ.

განსაცვიფრებელი ისტორიული აღმოჩენები მსოფლიოს ხნობილი ადგილების შესახებ



გლადიატორების პატი (მსუბუქი ყოფიყვანის ქალბატან ერთად) პოპიური

გაფურჩქნის ხანიდან 2000 წლის შემდეგ პომპეი განაგრძობს მეცნიერების განცვიფრებას ახალ-ახალი აღმოჩენებით, პროექტ „დიდი პომპეის“ ფარგლებში სპეციალისტებმა წარმოადგინეს ფრესკა, რომელზეც ასახულია რომაელების ცხოვრება. ფრესკა ზომით 0,9X1,4 მ-ზე ოდესღაც ამოვენებდა ტავერნის ან საროსკიპოს სარდაფის კედელს. ამ ტავერნასა თუ საროსკიპოში გლადიატორები იკრიბებოდნენ ლუდის დასალევად და დროის გასატარებლად. სარდაფს ზევით განლაგებულ ოთახებში დაბალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ქალები მსოფლიოში უძველესი ხელოვნებით იყვნენ დაკავებული და გლადიატორებს საბრძოლო ფორმის შენარჩუნებაში ეხმარებოდნენ. ამ ფრესკაზე გამოსახულია მურმილონი (გლადიატორი, რომელიც აღჭურვილი იყო გლადიუსითა (ხმლით) და მართკუთხედის ფორმის ფარით), რომელიც ამარცხებს ფრაკიელ გლადიატორს. მურმილონის მიერ დამარცხებული ფრაკიელი თითს მაღლა სწევს და ლოცულობს, რომ მონინაამდევე დაინდოს.



პატიონის, შესაქლოა, სხვა სხელი ეკიპა

ჩვენს ერამდე 430 წელს აგებული და ათენის მფარველ ქალღმერთ ათენასადმი მიძღვნილი პართენონი მსოფლიოში ცნობილი ნაგებობაა, მაგრამ ჩვენ მას, შესაძლოა, არასწორად მოვიხსენიებთ. პართენონი ნიშნავს „ქალწულთა სახლს“, მაგრამ არ არსებობს თვალსაზრისი იმაზე, სახელდობრ ამ ნაგებობას ეწოდებოდა თუ არა ეს სახელი. ძველი ტექსტებისა და ისტორიული წყაროების თანახმად, ბერძნებს თავიანთი ძეგლისთვის შეიძლება ეწოდებინათ ჰეკატომედიონი (Hekatompedon) — „ასფეხიანი ტაძარი“. ეს ტერმინი გვხვდება აღწერილობაში, რომელიც 2500-ზე მეტი წლისაა. ნაგებობას აღწერენ, როგორც ათენასთვის დამზადებული ოქროს ნივთების საცავს, ამ ნივთებს შორის იყო ოქროს 10-მეტრიანი სტატუა. სახელწოდება „პართენონი“ გვხვდება, მაგრამ ის ეკუთვნის აკროპოლის კომპლექსში მდებარე, უფრო მცირე ზომის საცავს. არსებობს თვალსაზრისი, რომ სწორედ ეს მცირე ზომის საცავი, რომელშიც სამხედრო ნადავლი, ავეჯი და სხვა ნივთები ინახებოდა, იყო ნამდვილი პართენონი. მით უმეტეს, რომ ამ შენობას ამჟველებს კარპატიდები — ქალის (ქალწულის) ფორმის ბოძები, ამიტომ სწორედ ამ შენობის სახელი უნდა ყოფილიყო „ქალწულთა სახლი“.



სტონჰენჯი შეიქმნა ღრის ქონის გამოყენებით ააგეს

სტონჰენჯის მეგალითები 30 ტონას იწონის და მოტანილია 29 კმ-ის დაშორებული ადგილიდან. მოცისფრო-მონაცრისფრო რამდენიმე ქვა მომცრო ზომისაა და 2-5 ტონას იწონის. ეს ქვები კი თითქმის 145 კმ-დან არის მოტანილი პრეგელის (უელსი) ბორცვიდან, შესაძლოა, მოულოდნელი მოკავშირის, ლორების, დახმარებით, უფრო ზუსტად კი, ლორის ქონის დახმარებით, თუ დარინგტონ-უილსიდან 3 კმ მოშორებით არსებულ დასახლებაში ნაპოვნი კერამიკული ქოთნებით ვიმსჯელებთ. ამ დასახლებაში, როგორც ვარაუდობენ, სტონჰენჯის მშენებლები ცხოვრობდნენ, ქოთნებს კი იმისთვის იყენებდნენ, რომ მასში ლორის გამდნარი ქონი ჩაესხათ. შემდეგ ამ ქონით პოხავდნენ მორებს, რომლებზეც მისარიალებდნენ სტონჰენჯის უზარმაზარ მეგალითებს.



ჩინეთის დიდ კედელს ჩაგდნითა დაწინააღმდეგებდა კონდა

ჩინეთის დიდ კედელს ყოველთვის არ აშენებდნენ, როგორც თავდაცვით ნაგებობას. ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ჩრდილოეთის ხაზი, თითქმის 805 კმ-ის სიგრძის, რომელსაც ჩინგის-ხანის კედელს უწოდებენ, არ იყო აგებული იმისთვის, რომ მონღოლთა იმპერიის წარმომადგენლების სასტიკი შემოსევებისგან დაეცვათ თავი. კედელი ძალიან დაბალია — სულ 1,8 მ სიმაღლის, თხრილიც 1,9 მ სიღრმისაა, ამიტომ კედელი მიუდგომელი არ იყო მომხდურისთვის; მეორე ის აგებულია არა მტკიცე აგურისგან, როგორც კედლის სხვა უბნები, არამედ დატკეპნილი მინით. ამასთანავე, კედლის ეს ნაწილი აგებულია ბლიკებს შორის და მათ გასწვრივ არის 72 დიდი ნაგებობა, რომლებიც ადმინისტრაციული შენობის ფუნქციას ასრულებდნენ. ეს ყველაფერი საჭირო იყო ადამიანებისა და შინაური ცხოველების მასობრივი გადაადგილების რეგულირებისთვის. კედელი ლიანდროს იმპერიას მიგრაციის გაკონტროლებისა და გადასახლების ამოსაღებად სჭირდებოდა.

მოამზადა ნიკა კორინთელა



სპეციალისტები და გულშემატკივრები ამ გოლს ყველაზე საკამათოდ მიიჩნევენ ისტორიაში. სხვათა შორის, კადრი ტრანსლაციიდან, რომელზეც ცდილობდნენ, დაეღვინათ, იყო თუ არა გოლი, პრიტანელთა კაცობრიობის ისტორიაში მნიშვნელოვან მიხედვით მეორე ადგილზე დაასახელეს, შერონ სტოუნის ფეხების გადაჯვარედინების კადრის შემდეგ.

29 ივნისს ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის მერვედფინალში ინგლისელებმა გერმანელები ანგარიშით 2:0 დაამარცხეს. ეს იყო „უემბლიზე“ გერმანელთა პირველი მარცხი 25 წლის განმავლობაში, 1996 წლის 26 ივნისის შემდეგ. 1996 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატზე ნახევარფინალური შეხვედრის ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ — 1:1 დასრულდა, პენალტების სერიაში კი გაიმარჯვეს გერმანელებმა (6:5). აღსანიშნავია, რომ ერთადერთი პენალტი ინგლისელთა ნაკრების ამჟამინდელმა თავკაცმა გარეტ საუთგეიტმა გააფუჭა. რამდენიმე დღის წინათ კი მან მწვრთნელის რანგში რევანში იზეიმა და ინგლისელებს უზარმაზარი სიხარული მოჰგვარა.

ინგლისსა და გერმანიას დაპირისპირების მდიდარი ისტორია აქვთ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ინგლისელები მიხვდნენ, რომ მათი მთავარი მონიშნულმდგომელები გერმანელები არიან, თანაც ყველაფერში ეკონომიკით დახვედრული, სპორტით დასრულებული, ამიტომ საფეხბურთო მოედანზე ყოველი შეხვედრა ბრიტანელებისთვის მინიმომი იყო (1966 წელს Daily Mail-ის ჟურნალისტმა მინსანტ მალკოუსმა ომს გერმანელთა ეროვნული სპორტი უწოდა). აღსანიშნავია, რომ გერმანელები თავიანთ პრინციპულ მოწინააღმდეგედ ნიდერლანდელებს მიიჩნევენ.

ინგლისი და გერმანია ოფიციალურ ტურნირზე პირველად 1966 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში შეხვდნენ (ჩემპიონატი ინგლისში გაიმართა). ინგლისელებმა გაიმარჯვეს 4:2, ჯაფრი პარსტამ 3 ბურთი გაიტანა, მაგრამ მესამე გოლი არ უნდა ჩათვლილიყო: 110-ე წუთზე, როცა ანგარიში 2:2 იყო, ჰერტსმა მოულოდნელად დაარტყა, ბურთი ხარისხს მოხვდა და თითქმის ვერტიკალურად ძირს დავარდა, მაგრამ ძალიან საეჭვო იყო, გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი. მატჩის მთავარმა არბიტრმა, შვეიცარიელმა გოტფრიდ დინსტამ ვითარებაში გასარკვევად გვერდით მსაჯს, საბჭოელ (ახერბაიჯანელ) ტოფიკ პასარამოვის მიმართა, რომელმაც დაადასტურა, რომ ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა. გერმანელები ბახრამოვს ეცნენ, მაგრამ ის ცენტრისკენ გაიქცა. სპეციალისტები და გულშემატკივრები ამ გოლს ყველაზე საკამათოდ მიიჩნევენ ისტორიაში. სხვათა შორის, კადრი ტრანსლაციიდან, რომელზეც ცდილობდნენ, დაეღვინათ, იყო თუ არა გოლი, პრიტანელთა კაცობრიობის ისტორიაში მნიშვნელოვან მიხედვით მეორე ადგილზე დაასახელეს, შერონ სტოუნის ფეხების გადაჯვარედინების კადრის შემდეგ.

ინგლისელთა კაპიტან ბობი მურს ჟიულ რიმეს თასი დედოფალმა ელისაბედ II-მ გადასცა. მსაჯებმაც მიიღეს სიმბოლური ფილდოები — ოქროს სასტვენები ფინალური მატჩის მსაჯობისთვის. დაჯილდოვდა ბახრამოვიც. მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში პირველად ოქროს სასტვენები სამივე მსაჯს გადასცეს. 1996 წელს ოქსფორდის უნივერსიტეტში გამოიკვლიეს კადრები და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ბურთს 7 სმ დააკლდა კარის ხაზის გადაკვეთამდე.

გერმანიასა და ინგლისის ნაკრებები ერთმანეთს კვლავ შეხვდნენ 4 წლის შემდეგ მექსიკოში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე. ინგლისელები ამ მატჩში თითქმის იმ შემადგენლობით გამოვიდნენ, რომელმაც 1960 წელს ჩემპიონატი მოიგო, ოღონდ ეს მეოთხედფინალური შეხვედრა გამოტოვა სახელგანთქმულმა მეკარე გორდონ ბანსმა, რომელიც საკვებით მოინამლა. მისი ადგილი კარში პიტერ ბონეტიმ დაიკავა. ინგლისელები იგებდნენ 2:0-ს და მეორე ტაიმში, სიცხის მიუხედავად, კარგად თამაშობდნენ. მწვრთნელმა ინგლისელთა ლიდერი ბობი ჩარლტონი 70-ე წუთზე შეცვალა — გაუფრთხილდა ვეტერანს, რადგან მატჩის ბედი გადაწყვეტილი ეგონა, მაგრამ ჩარლტონის შეცვლამდე 1 წუთით ადრე გერმანელებმა ბაიენსაუერის ძლიერი დარტყმის შემდეგ ანგარიში შეამკირეს. შემდეგ ინგლისელებმა მეორე ბურთიც გაუშვეს უპეზალ-პარის თავური დარტყმის შემდეგ. დამატებით დროში კი გარდ მიულარმა მესამე ბურთი გაიტანა და ინგლისელები გათამაშებიდან გამოთიშა. ინგლის-გერმანიის მესამე ოფიციალური შეხვედრა 1982 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატზე გაიმართა ესპანეთში. მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ შეკრებილმა 75 ათასმა მაყურებელმა მოსანყენი მატჩი იხილა — 0:0.

1990 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე იტალიაში ინგლისი და გერმანია ნახევარფინალში შეხვდნენ. ძირითადი დრო ანგარიშით 1:1 დასრულდა, პენალტების სერიაში კი კვლავ გერმანელებმა იმარჯვეს. „ფეხბურთი მარტივი თამაშია: 22 კაცი 90 წუთის განმავლობაში ბურთს აგორავენ, გოლს კი გერმანია იგებს“, — ინგლისელი ვარსკვლავი ბარი ლინეპერი იმხანად ზუსტი იყო თავის გამონათქვამში.

„ევრო-96“-ს (როგორც იქნა, ევროპის ჩემპიონატზე შეხვდნენ გერმანელებს და არა მსოფლიოზე) ინგლისელები შესანიშნავ განწყობაზე შეხვდნენ — ტურნირი ინგლისში ტარდებოდა. ე.ი., მასპინძლებს უნდა გაემარჯვებინათ. ნახევარფინალში კვლავ გერმანელებს შეხვდნენ და საქმე კვლავ პენალტების სერიაში მივიდა. გარეტ საუთგეიტს პენალტი გერმანელთა მეკარე კამპე აულო და ინგლისი გათამაშებას გამოეთიშა. ამ მატჩის შემდეგ ინგლისელმა გულშემატკივრებმა ლონდონში არეულობები გამოიწვიეს და ქალაქი დაარბიეს. 2002 წელს მსოფლიო ჩემპი-

გერმანია — ინგლისის დაუძინებელი სფეხბურთო გტარი, ტოფიკ ბახრამოვის საეჭვო გადაწყვეტილება და ლეგარდის რაუტოვლი გოლი



პარსტის დარტყმის შემდეგ ბურთს კარის ხაზი არ გადაუკვეთავს. 1966 წ.



ლეგარდის დარტყმის შემდეგ ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა, მაგრამ გოლი არ ჩაითვალა. 2010 წ.



ბობი მურს თასი ელისაბედ II-მ გადასცა



გაოგნებული ფრენა ლეგარდი



გერმანელები ბახრამოვს შემოეხვივნენ



პარი კინემა მეორე გოლს გაიტანა გერმანელთა კარში. 2021 წ.

ონატის შესარჩევი ტურნირის მატჩში კი ისტორიული მომენტი დადგა — ინგლისელებმა გერმანელები 5:1 დაამარცხეს მიუნხენში! მაიკლ ოუენმა 3 ბურთი გაიტანა. ამ მატჩის შემდეგ Sunday Mirror-ი ლაკონური სათაურით გამოვიდა Blitzed („დაბლიცკრიგებულები“). ამ ხნის განმავლობაში ეს იყო ინგლისელთა ერთადერთი გამარჯვება გერმანელებზე. 2010 წელს სამხრეთ აფრიკაში გამართულ ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრებმა 1966 წლის ვალი დააბრუნა. ინგლისელთა ნაკრები, რომელსაც

იტალიელი ფაბიო კაპელო წვრთნიდა, გერმანიას მერვედფინალში შეხვდა. გერმანელებმა სწრაფად გაიტანეს 2 ბურთი. მათიუ აპსონმა ერთი გაქვითა კუთხურიდან ჩანოვების შემდეგ, კიდევ ორ წუთში ფრენა ლეგარდმა თავზე გადაუგდო ბურთი გერმანელთა მეკარე ნოიერს — პირველი ტაიმის ბოლოს 2:2 უნდა ყოფილიყო — ინგლისელები დარწმუნებული იყვნენ, რომ ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა, მაგრამ ამაოდ...

მეორე ტაიმში ტომას მიულარმა ორი ბურთი გაიტანა და გერმანიამ კიდევ ერთხელ დაამარცხა ინგლისი, ფოტო ფრენა ლეგარდისა, რომელიც ხელებს თავში იცემს იმ პერიდის ჰიტად იქცა. გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა მოუბოდიშა კიდევ დიდ ბრიტანეთის იმჟამინდელ პრემიერმინისტრ დევიდ კამერონს, რომელთან ერთადაც უყურებდა მატჩს G20-ის სამიტის მიმდინარეობისას ტორონტოში. ამ შეხვედრას მსაჯობდა ურუგვაელი არბიტრების ბრიგადა სორსე ლარიონდას ხელმძღვანელობით. ამის შემდეგ ისინი დიდ ტურნირებზე სამსაჯოდ აღარ მიუწვევიათ.

რამდენიმე დღის წინათ კი ინგლისელებმა ძალიან პრინციპულ მატჩში დაამარცხეს გერმანელები — 2:0.

მოაშადა ნიკა კორინთელა

ორი სქესი ასარჩევად: ადამიანები პასპორტში «X-გენდერით» რუსეთის ტერიტორიაზე ვერ შევლენ

უცხო ქვეყნების მოქალაქეები, რომლებსაც პასპორტების გრაფაში „სქესი“ მითითებული ექნებათ მესამე გენდერი, ვერ შეძლებენ რუსეთში შესვლას. ასეთი ტიპის დოკუმენტის გაფორმება დღეს რამდენიმე ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ, რომლებსაც მალე შეუერთდება ამერიკის შეერთებული შტატებიც. რუსმა პოლიტიკოსებმა მწვავედ გააკრიტიკეს პასპორტში „X-გენდერის“ შეტანა.

„უახლოეს მომავალში ამერიკელთა პასპორტებში შეიტანენ გრაფა „X-გენდერს“ და ამერიკელები მიიღებენ უფლებას, დამოუკიდებლად აირჩიონ დოკუმენტში აღნიშნული სამი გენდერიდან ნებისმიერი“, — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა. მან ამერიკის ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება ლგბტ პირებისთვის თანაბარი უფლებების მიცემის სურვილით ასახა.

მისი თქმით, პასპორტში გენდერული კუთვნილების აღსანიშნავად ან ამა თუ იმ დოკუმენტში პირის იდენტიფიკაციისთვის



ვის სამედიცინო ცნობა საჭირო აღარ იქნება.

მამაკაცისა და ქალისგან განსხვავებული გენდერის კუთვნილების მითითება დოკუმენტში, — როგორც ბლინკენმა აღიარა, — ტექნიკურად რთული ამოცანაა, რომელიც არსებული სისტემის ხანგრძლივ ადაპტაციას მოითხოვს, აქამდე პასპორტში იმ სქესის მისათითებლად, რომელიც არ შეესაბამებოდა დაბადების მონომბაში ჩანერილს, ამერიკელებს ექ-

მისგან შესაბამისი სერთიფიკატის აღება სჭირდებოდათ.

ბლინკენმა, აგრეთვე, აღნიშნა, რომ ეს საკითხი სახელმწიფო დეპარტამენტმა გადაწყვიტა იმ ქვეყნების ხელისუფლებებთან კონსულტაციების შემდეგ, რომლებსაც მსგავსი თვალსაზრისი აქვე და რომლებმაც კანონმდებლობაში უკვე შეიტანეს შესაბამისი ცვლილებები, ოღონდ არ დაუზუსტებია, რომელ ქვეყნებზეა საუბარი.

ამჟამად მესამე გენდერი შეტანილია რამდენიმე ქვეყნის პასპორტებში, მათ შორის: ავსტრალიის, ინდოეთის, კანადის, მალტის, ნეპალისა და ახალი ზელანდიის.

ამ და სხვა ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებსაც დოკუმენტებში მითითებული აქვთ „გენდერი X“, რუსეთის ტერიტორიაზე შესვლა აკრძალა.

rambler.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ბიორბი ბაჩინილაკი



CNN-მა უკრაინის დედაქალაქი კიევი დაიბრუნა, როგორც ულან-უტო

ამერიკელი ჟურნალისტებისთვის არანაირი განსხვავება არ არის უკრაინასა და მოსკოვს შორის

ამერიკულმა სატელევიზიო არხმა CNN-მა ეთერში აჩვენა უკრაინის რუკა, რომელზეც კიევი აღნიშნულია, როგორც ულან-უტო. ამერიკული მასშედიის ცოდნის ფედერაციის საბჭოს საინფორმაციო პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ალექსეი პეტუხოვმა.

„ტელეარხ CNN-ში დარწმუნებული არიან, რომ უკრაინის დედაქალაქი, რომელიც თითქოს ძალიან მნიშვნელოვ-

ანია აშშ-სთვის, არის ულან-უტო. ეს, ალბათ, იქიდან მოდის, რომ უკრაინა ძალიან შორს არის. და, რადგან უკრაინის ხელისუფლება ყოველთვის თანახმაა იმაზე, რაც აშშ-დან მოდის, ამიტომ საჩქაროდ უნდა გადაარქვან კიევის სახელი და უნდა აღიარონ ულან-უტო-რი“. — დაწერა პეტუხოვმა სოციალურ ქსელში.

news-front.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელა

გაერთიანებულ არაბულ საამიროებში აღფრთხილდნენ დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის დიპლომატიური მისიების შენობაზე ლგბტ დროშების გამოფენის გამო



გაერთიანებულ არაბულ საამიროებში ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის საელჩოებს მოსახლეობის მწვავე კრიტიკა დაატყდა თავს დიპლომატიური მისიების შენობებზე ლგბტ დროშების გამოფენის გამო.

აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის დიპლომატიურმა წარმომადგენლობებმა გადაწყვიტეს, ლგბტ პირების დროშები გამოეფინათ შენობებზე. ეს პირველი შემთხვევაა, როცა საელჩოებმა არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პირების სიმბოლო გამოფინეს რელიგიურ და კონსერვა-

ტიულ არაბულ მონარქიაში, სადაც ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინება კანონით აკრძალულია.

გაერთიანებული არაბული საამიროების ფინანსური დეპარტამენტის ყოფილი დირექტორის განცხადებით, ეს დიდი უპატივცემულობაა ბრიტანეთისა და აშშ-ის საელჩოების მხრიდან გაერთიანებული არაბული საამიროების სახელმწიფოსა და მისი ხალხის მიმართ: „როგორც ჩანს, იქ ზოგიერთი დიდი ბრიტანეთის იმპერიის დროშა ჩარჩენილი“.

new-front.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაკი

დადგა და არაყის მისცემს თავისი ბედის განკარგვის უფლებას. ექსპერტთა აზრით, სი ძინზინის განცხადება მიმართული იყო აშშ-ის წინააღმდეგ.

სი ძინზინმა, აგრეთვე, აღნიშნა ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის გაძლიერების მნიშვნელობა ეროვნული უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის დასაცავად.

მანამდე ჩინეთის ლიდერმა დადებითად შეაფასა რუსეთის განვითარების პერსპექტივები მლადგიმირ პუტინის ხელმძღვანელობით. ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საგარეო ურთიერთობების განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილე ბო იჩუოუს განცხადებით, რუსეთმა ბოლო წლებში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. მისი თქმით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა აკვირდებოდა ჩინეთის გამოცდილებას, მაგრამ არ მოითმენს მის მიმართ გამოთქმულ „ქედმაღლურ რჩევებს“. მისი თქმით, დადგა ახალი ეპოქა, როდესაც უსახელმწიფოები ჩინეთს თავს ვეღარ მოახვევენ უთანასწორო შეთანხმებებს. ჩინელი ერი ფეხზე

სი ძინზინი «თავის გატყუებით» დააგუჟა ყველას, ვინც ჩინეთის დამოუკიდებლობას უფლებს

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე სი ძინზინი „თავის გატყუებით“ დემუქრა ნებისმიერ გარე ძალას, რომელიც ჩინეთის დამოუკიდებლობას შეეცდებოდა. ამის შესახებ მან ჩინეთის კომუნისტური პარტიის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიაზე განაცხადა.

სი ძინზინმა აღნიშნა, რომ ჩინელი ხალხი მისწრაფვის სამართლიანობისკენ და არ ეშინია ძალადობას, მას არასოდეს დაუშვებია და დაუმონებია სხვა ერები. ამასთანავე, „ჩინელი ხალხი არ მიიღებს გარე ძალების მცდელობებს, უპატივცემულოდ მოეპყრონ, დაამცირონ და დაამონონ. ის, ვინც ამის გაკეთებას შეეცდებოდა, შეეჯახება 1,4 მილიარდი ჩინელი ხალხის ხორცისა და სისხლის რკინის კედელს და თავს გაიტყავს“, — ხაზგასმით აღნიშნა ჩინეთის ლიდერმა.

სი ძინზინმა დასძინა, რომ ჩინეთი გადაიღებს სხვა ქვეყნების გამოცდილებას, მაგრამ არ მოითმენს მის მიმართ გამოთქმულ „ქედმაღლურ რჩევებს“. მისი თქმით, დადგა ახალი ეპოქა, როდესაც უსახელმწიფოები ჩინეთს თავს ვეღარ მოახვევენ უთანასწორო შეთანხმებებს. ჩინელი ერი ფეხზე

lenta.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელა

Daily Mirror: გაყრდნ რუსული დიპლომატიის გაღიზიანება — შეუქლია, შეგჭამოს!

„დაკარგულ დოკუმენტებზე ცალკეული ბრიტანელი მდივანის განცხადებით თუ ვიმსჯელებთ, დიდი ბრიტანეთი ოფიციალურად არის დაკავებული რუსეთის წინააღმდეგ პროვოკაციის მოწყობით“, — წერს Daily Mirror-ის კომენტარის ავტორი. უკრაინის ლისტის აზრით, ასეთი ვაიპატრიოტიზმი ლონდონს არ ნაადგება — მას ხომ აღარც იმპერია აქვს და აღარც უზარმაზარი ფლოტი და დათვთან კიდევ ერთ შეტაკებას, შეიძლება, ვეღარც გაუძლოს.

„სიტყვა „ჯინგოზი“ (ასე უწოდებენ ინგლისურენოვან ქვეყნებში ურბანული ბრიტანულ პაბებში იყო პოპულარული 1877-1978 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში, — წერს Daily Mirror-ის მიმომხილველი, — როცა ანგლოსაქსელები მღეროდნენ, რომ მოუწევდა დათვთან შეტაკება, მაგრამ სანამ ძლიერია ბრიტანული დროშა, რუსები კონსტანტინოპოლს ხელში ვერ ჩაიგდებდნენ“. როგორც რუსულენოვანი ჟურნალისტი „საუზღვარი“, იმ რეგიონში, ყირიმთან ახლოს — იმ რეგიონში, რომელიც შემოაღიშნულ სიმღერას მღეროდნენ საუზუნზე მეტი ხნის წინათ. „საზღვადოდ, არაფერი შეცვლილა, — წერს ავტორი, — ოღონდ არც იმპერიაა, რომლის საფაქრო



გზები დასაცავია, და აღარც ფლოტი გვყავს საერთაშორისო წყლებში წესრიგის დასამყარებლად“.

თუმცა, ეს ხელს არ უშლის ზოგიერთ „მეომარს“, „დათვი გააღიზიანოს“, როგორც ეს ცოტა ხნის წინათ გააკეთა გაერთიანებული სამეფოს გენერალური შტაბის ყოფილმა უფროსმა რიჩარდ დანატამ, რომელმაც, „ლორდო პალატის წითელი ტყავის სავარძელში უსაფრთხოდ მოკალათებულმა“, ქვეყნის ხელმძღვანელობისგან მოითხოვა, უფრო აგრესიული პოზიცია დაეკავოს მოსკოვის მიმართ.

ბრიტანეთის საზოგადოებას, როგორც წესი, ამა თუ იმ სამხედრო ოპერაციის მოტივებს არ აცნობებენ ხოლმე, მაგრამ ამჯერად სხვაგვარად გამოვიდა: საიდუმლო

დოკუმენტებიდან, რომლებიც ვილკას ავტობუსების გაჩერებაზე დარჩა (!) კენტის საგრაფოში, ირკვევა, რომ ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრომ წინასწარი განზრახვით გაგზავნა საეკადრო ნაღმოსანი Defender-ი ყირიმის ნაპირებთან, რითაც რუსეთის რეაქციას დააკვირდა და განიხილავდა ზომალდისთვის ალტერნატიულ მარშრუტს, რომელიც თავიდან ააცილებდა კონფრონტაციას, მაგრამ უარი თქვა ამაზე, იმიტომ, რომ არ შექმნილიყო შთაბეჭდილება, თითქოს ლონდონი შეშინებულია და გაიქცა.

„აი ახლა კი ლონდონი ოფიციალურად დაკავდა რუსეთის პროვოკაციებით. ჩვენი საგარეო პოლიტიკა შორსმჭვრეტეული არ არის“, — აღნიშნავს Daily Mirror-ის მიმომხილველი.

როგორც სტატიის ავტორი წერს, რუსეთში დიდი ბრიტანეთის ყოფილი ელჩი, რომ ყირიმს, რომელიც დიდხანს იყო რუსეთის განუყოფელი ნაწილი და 2014 წელს რუსეთმა კვლავ მიიერთა, დასავლეთის სახელმწიფოები ვეღარ დაიბრუნებენ. რუსულენოვანი წერს, რომ რუსეთთან ომის დაწყების შემთხვევაში, ბრიტანეთის გამარჯვებაზე ფსონს არ დადებს.

Russian.rt.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაკი

www.geworld.ge

საქართველო

ესტუბრით ჩვენს სივრცეში

პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეჯია

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ექნებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894

9177223313890091